ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
№–28

2023 წელი; 18 მაისი; 12:00 სთ. ქ. თბილისი;

თავისუფლების მოედანი

N2

სხდომას ესწრებოდნენ:
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)
ზურაბ აბაშიძე
ნინო რუხაძე
ავთანდილ ცინცაძე
კახაბერ ლაბუჩიძე
აკაკი ალადაშვილი
დავით ფარცვანია
ცოტნე კობერიძე

მოწვეული პირები:

- **მარიამ კვერნაძე** - სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილე;
- **სოფო უგრეხელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი;
- **დავით კვინიკაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგეხელი;

სხდომის თავმჯდომარე:
ლევან ჟორჟოლიანი

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის
უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე

<u>დღის წესრიგი</u>

1. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ჩინეთის საელჩო საქართველოში შორის ,,ქ. თბილისი, ატენის ქ. N16-ში მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაციისა და წყნეთი, აფხაზეთის ქ. N23-ში ორი კომპლექსი ფიტნეს ტრენაჟორის მოწყობის შესახებ" საგრანტო ხელშეკრულების პროექტის მოწონების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა" (კოდი: 08 10) ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის" (ს/ნ 405605484) მიერ კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დადგენილების პროექტი.**

3. "ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.**

4. ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით, უძრავი ქონების შეძენაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის N22 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2021 წლის 6 აპრილის „პირობებით გამოცხადებული აუქციონის" N9-578-15-26111 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

6. "ქ. თბილისში, ვაზისუბნის IV მ/რ-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების (ს/კ: N01.17.07.030.022) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

7. „ქალაქ თბილისში, თამაზ თოხაძის ქუჩა N15-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.125.02.502) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

8. „ქალაქ თბილისში, სოფელი წინუბანი, იალნოს ქუჩა N9-ში (საკადასტრო კოდი: N81.08.09.513.02.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

9. “ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გიორგი სააკაძის ქუჩა N30-ში მდებარე 100.79 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.056.005.02.501) და 49.73 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.056.005.02.507) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე” **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

10. „ქალაქ თბილისში, რევაზ ლაღიძის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: №01.15.04.015.001.01.628) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

11. “ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N61-ში არსებული 65.87 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.047.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე” **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

12. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მე-3 მასივში (საკადასტრო კოდი: 01.19.20.020.085) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

13. “ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, მე-3ა მიკრორაიონის კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.021.001.01.002) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

14. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში, ერეკლე II-ის ქუჩის მე-4 შესახვევი N2-ში (საკადასტრო კოდი: N81.08.21.462.01.505) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

15. „ქალაქ თბილისში, ევროპის I ჩიხი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.15.001.067.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

16. "ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა N10-ში არსებული 92.13 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.01.05.883.01.502) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

17. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ქებურიას დასახლებაში, კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.018.01.587) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

18. „ქალაქ თბილისში, რქაწითელის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.015.086.01.501) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

19. „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N32-ში (საკადასტრო კოდი: 01.19.24.007.874.02.501) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

20. "ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის IV ჩიხი, N3-ში არსებული 74 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.035.01.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

21. „ქალაქ თბილისში, ,,ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მე-3 მასივში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.085) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 30 ნოემბრის N22.1819.1958 განკარგულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მე-3 მასივში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.085.01.527) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტი.**

22. „ქ. თბილისში, შარდენის ქუჩაზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: N01.18.03.061.038) 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „Organica"-სთვის (ს/ნ: 400056461) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

23. „ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N78-ის მიმდებარედ N01.14.10.001.088, N01.14.10.001.089 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ანტრე 2008“-ისთვის (ს/კ: 204549792) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

24. „ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. N18-26-ის მიმდებარედ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: 01.10.15.010.045) 48 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჩეხური ლუდის სახლი 1“-ისთვის (ს/ნ: 405428194) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

25. “ქ. თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირი N34-ის მიმდებარედ 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.009.038) პირდაპირი განკარგვის წესით გიორგი ისაკაძისთვის (პ/ნ: 60003010441) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე” **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

26. „ქ. თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა N19-ში არსებული 788 კვ. მ მიწის ნაკვეთიდან 9 კვ. მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.039) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კონუსი 08“-ისთვის (ს/ნ: 206330861) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

27. „სს „თიბისი ბანკისთვის“ (ს/კ: 204854595) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემისა და „სს „თიბისი ბანკისთვის“ (ს/კ: 204854595) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2018 წლის 15 ოქტომბრის N№61.01182883 ბრძანებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის გადახდის ვადის დარღვევის შედეგად დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

28. **კომისიების პერსონალური შემადგენლობის საკითხი.**

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

1. ვაკის რაიონის გამგებელმა **დავით კვინიკაძემ,** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებს ,თბილისის მუნიციპალიტეტსა და საქართველოში ჩინეთის საელჩოს შორის საგრანტო ხელშეკრულების პროექტი გააცნო, რომელიც ვაკის რაიონში სპორტული მოედნის რეაბილიტაციას და ორი სპორტული კომპლექსის ტრენაჟორებით მოწყობას ითვალისწინებს. მისივე თქმით, გრანტის ფარგლებში ჩინეთის საელჩო საქართველოში გრანტის სახით გასცემს **130 000 (ასოცდაათი ათასი) ლარს.**

როგორც **მომხსენებელმა** განმარტა, წარმოდგენილი ხელშეკრულების თანახმად, ზემოხსენებული მიზნის მიღწევისთვის შესაბამის აქტივობას განახორციელებს ვაკის რაიონის გამგეობა **2023 წლის 31 ოქტომბრამდე.**

აზრი გამოთქვეს:

ნინო რუხაძის დამაზუსტებელ შეკითხვებთან დაკავშირებით, ვაკის რაიონის გამგებელმა განმარტა, რომ სპორტული მოედნის რეაბილიტაცია გულისხმობს, მოედნის თანამედროვე ხელოვნური საფარით აღჭურვას. ამასთან, რეაბილიტაციის შემდგომ აღნიშნულ ობიექტზე შესაძლებელი იქნება სხვადასხვა სპორტული აქტივობების განხორციელება, მათ შორის ფეხბურთისა და კალათბურთის თამაში. რაც შეეხება სავარჯიშო სივრცეს, მომხსენებლის თქმით, აქ მოეწყობა თანამედროვე სტანდარტების ადაპტირებული ტრენაჟორები.

ლევან ჟოჟოლიანმა განკარგულების პროექტის მიმართ გააჟღერა ტექნიკური ხასიათის შენიშვნები, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების** გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

2. კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა - **სოფო უგრეხელიძემ,** სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი **დადგენილების პროექტი,** რომელიც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის **„საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“** ასიგნებების ფარგლებში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის **ა(ა)იპ „საჯარო ხელოვნების ფონდის“ (შემდგომში - ფონდი)** მიერ კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცებას.

სოფო უგრეხელიძემ განმარტა, რომ ზემოაღნიშნული პროგრამის დაფინანსებისათვის გათვალისწინებულია ასიგნება - **500 000 (ხუთასი ათასი) ლარის ოდეობით.** მისივე თქმით, პროგრამის მიზანია თანამედროვე ხელოვნების და არტისტების პოპულარიზაცია; საჯარო სივრცეში თანამედროვე ხელოვნების პროექტების განხორციელების მეშვეობით ქართველ ხელოვანთა მხარდაჭერა და მათი შემოქმედებითი ზრდის წახალისება; ღია კონკურსების გზით სახელოვნებო სფეროში სახელოვნებო და შემოქმედებითი პროცესების გააქტიურება და ახალგაზრდა ხელოვანების ექსპერიმენტული დ აინოვაციური პროექტების განხორციელება; საჯარო სივრცეში თანამედროვე ხელოვნების შექმნა და აღნიშნულის მეშვეობით ქალაქ თბილისის იერსახის გაკეთილშობილება.

მომხსენებელის თქმით, ფონდის საქმიანობის მიზანია ხელი შეუწყოს:

- თანამედროვე ხელოვნების და არტისტების პოპულარიზაციას, ეროვნული და მსოფლიო ხელოვნების ხელმისაწვდომობას საზოგადოების ყველა წარმომადგენლისთვის;

- სამოქალაქო საზოგადოებაში კულტურული, შემოქმედებითი შეგნების ამაღლებას და საზოგადოების წარმომადგენლების ჩართულობის ამაღლებას;
- წამყვან დასავლურ ინსტიტუციებთან თანამშრომლობის მეშვეობით თანამედროვე საერთაშორისო ხელოვნების პოპულარიზაციას საქართველოში, ხოლო ქართული ხელოვნების პოპულარიზაციას საზღვრებს გარეთ;
- საჯარო სივრცეში თანამედროვე ხელოვნების შექმნას და აღნიშნულის მეშვეობით ქალაქ თბილისის იერსახის გალამაზებას.

მისივე თქმით, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ ფარგლებში **„საჯარო ხელოვნების ფონდის“ მიერ კონკურსის ჩატარების წესის“ დამტკიცება.**

წესის მიზნებზე საუბრისას, **საკითხის წარმომდგენმა** განმარტა, რომ წესი განსაზღვრავს, ფონდის მიერ კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო განაცხადების წარდგენის პროცედურას; ასევე, საკონკურსო განაცხადების განხილვისა და დაფინანსების პროცედურას. ამასთან, თუ წარდგენილი საკონკურსო განაცხადით მოთხოვნილი **თანხა არ აღემატება 25 000 ლარს (ოცდახუთი ათასი) ლარს,** საკონკურსო განაცხადის დაფინანსების (თანხის ოდენობის მითითებით) შესახებ **საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს კომისია,** ხოლო თუ წარდგენილი საკონკურსო განაცხადით მოთხოვნილი თანხა აღემატება მითითებულ თანხას, საკონკურსო განაცხადის დადებითად შეფასების შემთხვევაში, კომისია საკონკურსო განაცხადის დაფინანსების შესახებ რეკომენდაციით მიმართავს ფონდის დირექტორს. **საკონკურსო განაცხადის დაფინანსების შესახებ, საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა.** წესის მიხედვით, ფონდსა და დაფინანსების მიმღებ სუბიექტს შორის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით. **პროექტი ასევე ითვალისწინებს,** რომ ფონდი უფლებამოსილი იქნება დაფინანსება გასცეს ეტაპობრივად. ანაზღაურება ხორციელდება დაფინანსებული სუბიექტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შესაბამისად, მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში. ამასთან, წესის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებებისა და ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს ფონდის პროექტის მენეჯერი.

დასასრულს, მომხსენებელმა თქვა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას დედაქალაქის ბიუჯეტიდან. დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა დადგენილების პროექტის მიმართ გააჟღერა მთელი რიგი შენიშვნების, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ დადგენილების პროექტს მხარი არ დაუჭირა **ცოტნე კობერიძემ**. ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და **მითითებული შენიშვნების** გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

3. სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსის მოადგილემ - **მარიამ კვერნაძემ**, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომლის შესაბამისად ცვლილება ხორციელდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-72 დადგენილებაში, **კერძოდ, დადგენილებით დამტკიცებულ წესში.**

საკითხის წარმომდგენმა ისაუბრა დადგენილების პროექტით გათვალისწინებულ ძირითად ცვლილებებზე და აღნიშნა, რომ წესს ემატება მუხლი 7², რომლითაც **დგინდება სადემონტაჟო სამუშაოების შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ მოძრავ ქონებაზე აუქციონის გამოცხადების წესი.**

როგორც **მარიამ კვერნაძემ** განმარტა, ზემოაღნიშნული რეგულაციის შემოღება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის მიერ სადემონტაჟო სამუშაოების შედეგად შექმნილი მოძრავი ქონების მართვის პროცედურის უფრო ეფექტურად შესრულებას და გაამარტივებს მუნიციპალიტეტის მხრიდან არსებული ქონების მართვა/განკარგვაზე მყისიერი რეაგირების განხორციელების შესაძლებლობას. ცვლილების შედეგად, მუნიციპალიტეტი აღარ განათავსებს ზემოხსენებული მოძრავი ქონებას საწყობში და გამოცხადებულ აუქციონში გამარჯვებული პირი, შეგროვებისთანავე მოახდენს მოძრავი ქონების შესაბამის ტრანსპორტირებას, რაც მუნიციპალიტეტს გაუთავისუფლებს საკმაოდ დიდ რესურსებს. ამასთან, აუქციონის გამოცხადების წინამდებარე წესი, გულისხმობს მითითებულ პროცედურაში გამგეობების ჩართულობას, რაც აღნიშნულ პროცესს გახდის მეტად ორგანიზებულს.

მარიამ კვერნაძემ ასევე აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილებებით აუქციონში გამარჯვებული პირისთვის ნარჩენის შესაბამისი ოდენობის ღირებულების გადახდის ვადად განისაზღვრება **შესაბამისი ოპერატორის შეტყობინებიდან არაუგვიანეს 7 დღე.**

დასასრულს **მომხსენებელმა** განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროექტის განმარტებითი ბარათის თანახმად, პროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან აუცილებელი ხარჯების გამოყოფას. ასევე, დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

გადაწყვიტეს:

კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი დადგენილების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. მარიამ კვერნაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი და განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკარო პირთა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის ფარგლებში, შესასყიდი საცხოვრებელი ბინის 1 კვ.მ-ის ღირებულება მოქმედი წესის მიხედვით არ უნდა აღემატებოდეს 750 (შვიდას ორმოცდაათი) აშშ დოლარს. **მისივე თქმით,** წარმოდგენილი განკარგულების პროექტის შესაბამისად, ცვლილება ხორციელდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის N22 განკარგულებაში და საცხოვრებელი ბინის 1 კვ.მ-ის ღირებულება, მათ შორის, აღნიშნული განკარგულების პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ნაცვლად არაუმეტეს 750 (შვიდას ორმოცდაათი) აშშ დოლარისა განისაზღვრება არაუმეტეს **900 (ცხრა ასი) აშშ დოლარის ოდენობით.**

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა განკარგულების პროექტის მიმართ გააჟღერა მთელი რიგი შენიშვნების, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა, **ცოტნე კობერიძემ.** ხოლო, კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. მარიამ კვერნაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი, რომელიც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2021 წლის 6 აპრილის პირობებით გამოცხადებული აუქციონის N9-578-15-26111 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხს.

მომხსენებელმა ისაუბრა შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

- 2021 წელს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2021 წლის 6 აპრილის პირობებით გამოცხადებული აუქციონის N9-578-15-26111 ხელშეკრულების თანახმად, თათია არაბულს საკუთრებაში გადაეცა ქ. თბილისში, გახოკიძის ქუჩა N79-ის მიმდებარედ არსებული **326.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი** (ს/კ N01.19.19.003.112) <u>**შეზღუდვით - „დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე; მოთხოვნის შემთხვევაში 01.19.19.003.236 საკადასტრო ერთეულთან მისასვლელის უზრუნველყოფით".**</u>

- აღნიშნული მიწის ნაკვეთი გაერთიანდა მომიჯნავე მიწის ნაკვეთებთან და გაერთიანების შედეგად, **ფორმირებულია N01.19.19.003.254 საკადასტრო ერთეული და წარმოადგენს გოჩა ათანელიშვილის საკუთრებას.** შესაბამისად, დადასტურებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუქციონის პირობის „დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე" შესრულება და 326 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე მოიხსნა აღნიშნული შეზღუდვა. ხოლო, გოჩა ათანელიშვილის მინდობილი პირი ითხოვს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის (მოთხოვნის შემთხვევაში 01.19.19.003.236 საკადასტრო ერთეულთან მისასვლელის უზრუნველყოფა) გაუქმებას.

- სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის 2020 წლის 28 სექტემბრის დასკვნის თანახმად, 326 კვ.მ. მიწის ნაკვეთის მთლიანი საბაზრო ღირებულება/საწყისი საპრივატიზებო საფასური 2020 წლის 25 სექტემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს - **32 274 ლარს.** უქციონის შედეგების გათვალისწინებით, აღნიშნული ქონების საბოლოო საპრივატიზებო საფასური შეადგენს **41576.00 (ორმოცდაერთი ათას ხუთას სამოცდათექვსმეტი) ლარს.**

- სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 23 თებერვლის წერილის თანახმად, აღნიშნული პირობის გაუქმება არ ახდენს გავლენას მიწის ნაკვეთის ღირებულებაზე, შესაბამისად აღნიშნული ცვლილებით განპირობებული ფასთა შორის სხვაობა არ ფიქსირება შეფასების პერიოდისთვის.

- სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2022 წლის 16 მაისის გადაწყვეტილების საფუძველზე, განხორციელდა N01.19.19.003.254 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის საზღვრების ცვლილება იმგვარად, რომ N01.19.19.003.112 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის ნაწილი, რაზედაც ვრცელდებოდა მოთხოვნის შემთხვევაში 01.19.19.003.236 საკადასტრო ერთეულთან მისასვლელის უზრუნველყოფის პირობა, მოექცა დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთის ფარგლებში, შესაბამისად, დღეის მდგომარეობით, აღარ არსებობს წინამდებარე პირობის რეგისტრაციის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

- ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ წარმოადგინა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2021 წლის 6 აპრილის პირობებით გამოცხადებული აუქციონის N0-578-15-26111 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხი.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა მიზანშეწონილად მიიჩნია, განკარგულების პროექტის სამართლებრივ საფუძვლებში მიეთითოს **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს**

2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული წესის 24-ე მუხლის მე-9 პუნქტი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. მარიამ კვერნაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა დედაქალაქის რამდენიმე რაიონში მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხები და აღნიშნა, რომ ქ. თბილისში, ვაზისუბნის IV მ/რ-ის მიმდებარედ არსებული **12 306 კვ.მ.** მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული N1 და N2 შენობა-ნაგებობები, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა საქართველოს რაგბის კავშირს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 26 აპრილის **N23.551.645** განკარგულების დანართით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ა(ა)იპ „ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრი" თანახმაა შეუწყდეს უსასყიდლო უზუფრუქტით სარგებლობა მისთვის გადმოცემულ ქონებაზე და ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთი გადაეცეს საქართველოს რაგბის კავშირს. ამასთან, საკითხზე დადებითი პოზიცია გამოხატეს მერიის შესაბამისმა სამსახურებმა.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის განმარტებით, სასურველია განკარგულების სამართლებრივ დასაბუთებაში ასევე მიეთითოს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" **75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტი.**

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ დიდუბის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, თამაზ თოხაძის ქუჩა N15-ში მდებარე, 16.57კვ.მ უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა **მოქალაქე ნათია ანუაშვილს. მისივე თქმით,** შსს-ს წერილითა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ნოტარიულად

დამოწმებული კრების ოქმით დასტურდება **ნათია ანუაშვილის ზემოხსენებულ მისამართზე ცხოვრების ფაქტი. ამასთან,** სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, დაინტერესებულ პირზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

8. სხდომის დღის წესრიგის რიგით **მე-8** საკითხის მიხედვით, ქ. თბილისში, სოფელი წინუბანი, იალნოს ქუჩა N9-ში მდებარე **71.50 კვ.მ** ფართის უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა, **მოქალაქე თამარ ლობჟანიძეს,** რომელიც **1998 წლიდან** ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. აღნიშნული დასტურდება წარმოდგენილი ფოტომასალით, შსს-ს ცნობითა და სანოტარო წესით დამოწმებული მოწმეთა ჩვენებებით.

დასასრულს, **მარიამ კვერნაძემ** აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, დაინტერესებულ პირზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **წარმოდგენილი შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. მარიამ კვერნაძის განმარტებით, ვაკის რაიონის გამგებლის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, დაბა წყნეთში, გიორგი სააკაძის ქუჩა N30-ში მდებარე **100.79 კვ.მ** და **49.73 კვ.მ** უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით,

სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა **მოქალაქე მზია ხონელიძის ოჯახს, რომელიც 1991 წლიდან** დღემდე ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. აღნიშნული დასტურდება შსს-ს წერილით, გამგეობის ოქმითა და მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული თანხმობებით.

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ სსიპ - დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს წერილის თანახმად, **მზია ხონელიძე დევნილად რეგისტრირებული არ არის.** ხოლო მისი ოჯახის წევრები **სარგებლობენ დევნილთა სტატუსით.** ამასთანავე, **აღნიშნული პირები, სახელმწიფოსგან ფულადი კომპენსაციით ან საცხოვრებელი ფართით დაკმაყოფილებული არ არიან.** ასევე სააგენტო არ არის წინააღმდეგი მითითებული უძრავი ქონება აღნიშნულ პირებს გადაეცეთ საკუთრებაში.

დასასრულს, **მარიამ კვერნაძემ** აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად მზია ხონელიძესა და მისი ოჯახის წევრებზე საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **წარმოდგენილი შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. დღის წესრიგის რიგით მე-10 საკითხთან დაკავშირებით **მარიამ კვერნაძემ** აღნიშნა, რომ ქ. თბილისში, რევაზ ლაღიძის ქ. N2-ში, მესამე სართულზე მდებარე **23.47 კვ.მ.** ფართი, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა **„რევაზ ლაღიძე 2“-ს.**

მარიამ კვერნაძემ აღნიშნა, რომ მითითებული უძრავი ქონება, 90-იანი წლებიდან წარმოადგენდა საერთო სარგებლობის ფართს, რომელსაც აღნიშნულ მისამართზე მცხოვრები მოსახლეობა ,,თბილისის განვითარების ფონდის“ მიერ დაწყებული სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე იყენებდა, როგორც სამზარეულო ფართს.

მომხსენებლისვე მითითებით, ქ. თბილისში, რევაზ ლაღიძის ქუჩა N2-ში (ს/კ 01.15.04.015.001) სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შეუფერხებლად განხორციელებისთვის და მოსახლეობასა და ა(ა)იპ ,,თბილისის განვითარების ფონდს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიზნების შესრულებულისთვის შემუშავდა ზემოაღნიშნული პროექტი, რომლითაც ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ქ. თბილისში, რევაზ ლაღიძის ქუჩა N2-ში, მე-3 სართულზე

არსებული 23.47 კვ.მ ფართის ბინა №560-ის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „რევაზ ლაღიძე 2"-სათვის სიმბოლურ თანხად - 1 (ერთ) ლარად საკუთრებაში გადაცემას.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით**, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. როგორც **მარიამ კვერნაძემ** განმარტა, ისნის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, საინგილოს ქუჩა N61, სართული 1, ბინა N3-ში არსებული **65.87 კვ.მ** უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა **მოქალაქე შავლეგი მოდებაძეს,** რომელიც დაახლოებით **20 წელია** ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. აღნიშული დასტურდება შსს-ს ცნობით, მოქალაქეების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებითა და გამგეობის საუბნო განყოფილების ადგილზე შემოწმების აქტით.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ დაინტერესებული პირის მიერ სააგენტოში წარდგენილია უძრავი ქონების ამსახველი ფოტო-მასალა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები.

დასასრულს, **მომხსენებელმა** აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად, შავლეგი მოდებაძის საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის;**

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური და განკარგულების პროექტის მეორე მუხლი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. მარიამ კვერნაძის თქმით, სამგორის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, სამგორის რაიონში, მე-3 მასივში მდებარე უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა **ლალი ჭიკაძეს - 62.22 კვ. მ.** (ორი საკადასტრო ერთეული - 15.05 კვ.მ და 47.17 კვ.მ.) და **ნაირა კერესელიძეს - 91.92 კვ. მ. აღნიშნული პირები 10 წელზე მეტია** ცხოვრობენ დაინტერესებაში არსებულ ფართებში, რაც დასტურდება შსს-ს წერილით, გამგეობის შემოწმების აქტებითა და ფიზიკური პირების სანოტარო წესით დამოწმებული განცხადებებით.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური, პირველი პუნქტი და განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძვლები გასწორდეს ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. მარიამ კვერნაძის თქმით, კრწანისის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, მე-3ა მიკრორაიონის კორპუს N3-ში არსებული **59.52 კვ.მ** ფართის უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა **მოქალაქე ზაქრო მჟავანაძეს,** რომელიც დაახლოებით **18 წელია** ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. აღნიშული დასტურდება შსს-ს წერილით, მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ხელმოწერებითა და გამგეობის საუბნო განყოფილების ადგილზე შემოწმების აქტით.

დასასრულს, **მომხსენებელმა** აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად ზაქრო მჯავანაძის და მისი ოჯახის წევრების საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის;**

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური გასწორდეს ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. **მარიამ კვერნაძემ** აღნიშნა, რომ სამგორის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, სოფელ დიდ ლილოში, ერეკლე II-ის ქუჩის IV შესახვევი N2-ში მდებარე **83.41 კვ.მ** ფართის უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა **მოქალაქე ვახტანგ თამლიანს,** რომელიც **10 წელზე მეტია** ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. აღნიშნული დასტურდება შსს-ს წერილით, სამგორის საუბნო განყოფილების შემოწმების აქტითა და სამი მოქალაქის ნოტარიულად დამოწმებული აქტებით.

დასასრულს, **სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა განმარტა,** რომ ვახტანგ თამლიანზე საკუთრების უფლება რეგისტრირებულია უძრავ ნივთზე ქ. თბილისში, პეკინის გამზირი N41ბ, **24.66 კვ.მ** ფართი და ანტრესოლი - **8.68 კვ.მ.** მისივე თქმით, სააგენტოში წარდგენილია ნოტარიულად დამოწმებული აქტები, რომელთა თანახმად, მითითებული უძრავი ქონება ვახტანგ თამლიანს გაუფორმდა ჩუქების საფუძველზე დროებით, მესაკუთრის საზღვარგარეთ დროებით წასვლის გამო და საქართველოში დაბრუნების შემდგომ მითითებულ უძრავ ქონებას მესაკუთრე დაიბრუნებს უკან, რასაც ადასტურებენ მჩუქებლები. აგრეთვე, დღეის მდგომარეობით აღნიშნულ ქონებაზე რეგისტრირებულია ნასყიდობის ხელშეკრულება გამოსყიდვის უფლებით;

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. როგორც **მარიამ კვერნაძემ** განმარტა, სამგორის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, ევროპის I ჩიხი N3-ში, მდებარე **85.04 კვ.მ** უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა **მოქალაქე თეონა ჯიქიას,** რომელიც დაახლოებით **18 წელია** ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. აღნიშული დასტურდება შსს-ს წერილითა და მოქალაქეების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით.

დასასრულს, **მომხსენებელმა** აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად **თეონა ჯიქიაზე და მისი ოჯახის წევრებზე** საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით**, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

16. მარიამ კვერნაძემ წარმოადგინა განკარგულების პროექტი და განმარტა, მთაწმინდის რაიონის გამგეობის წერილობითი შუამდგომლობის გათვალისწინებით, ქ. თბილისში, დაბა კოჯორში, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა N10, მე-2 სართულზე არსებული **92.13 კვ.მ** უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა დევნილის სტატუსის არმქონე პირს - **მოქალაქე მორის მათიაშვილს,** რომელიც დაახლოებით **2000 წლიდან დღემდე** ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. აღნიშული დასტურდება შსს-ს წერილით, მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებითა და გამგეობის გამოკითხვის ოქმებით.

სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენლის თქმით, სააგენტოში წარდგენილია ხელშეკრულება, რომლითაც ზემოაღნიშნული უძრავი ქონება სიმბოლურ ფასად - 500 ლარად შეიძინა განმცხადებლის ოჯახის წევრმა (ბებიამ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისგან. ამასთან, წარდგენილია, კომუნალური გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

მომხსენებელმა იქვე დასძინა, რომ სააგენტოში წარდგენილია მორის მათიაშვილის მეუღლის თანხმობა დაინტერესებაში არსებული უძრავი ქონების მორის მათიაშვილისთვის გადაცემასთან დაკავშირებით.

დასასრულს, **მომხსენებელმა** აღნიშნა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად **ქონების გადაცემით დაინტერესებულ პირზე და მისი ოჯახის წევრებზე** საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. რაც შეეხება დღის წესრიგით გათვალისწინებულ რიგით მე-17 საკითხს, **მარიამ კვერნაძის** თქმით, სამგორის რაიონის გამგეობის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ბესარიონ ქებურიას დასახლებაში, კორპუს N3-ში მდებარე **43.00 კვ.მ** ფართის უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა **მოქალაქე იოსებ ხატეშვილს,** რომელიც დაახლოებით **2008 წლიდან დღემდე** ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. აღნიშული დასტურდება შსს-ს წერილით, სამი მოქალაქის ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებითა და სამგორის საუბნო განყოფილების შემოწმების აქტით. ამასთან, **იოსებ ხეტეშვილზე და მისი ოჯახის წევრებზე** საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, პროექტის სათაური და პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. რიგით მე-18 საკითხზე საუბრისას, **მარიამ კვერნაძემ** განმარტა, რომ, სამგორის რაიონის გამგეობის რეკომენდაციის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, **რქაწითელის ქუჩა N12-ში მდებარე 56.99 კვ.მ.** ფართის უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად,** პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა **მოქალაქე მზია არაბულს,** რომელიც 10 წელზე მეტია ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. აღნიშული დასტურდება შსს-ს წერილითა და სამი მოქალაქის ნოტარიულად დამოწმებული განცხადებებით. ამასთან, **მზია არაბულზე და მისი ოჯახის წევრებზე** საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური და პირველი პუნქტი გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. მარიამ კვერნაძემ, სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ ქ. თბილისში, ქიზიყის ქუჩა N32-ში მდებარე **20.52 კვ.მ** ფართის უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად,** პრივატიზების გზით, საკუთრებაში გადაეცემა **მოქალაქე სპარტაკ მატიაშვილს,** რომელიც 2009 წლიდან დღემდე ცხოვრობს მითითებულ მისამართზე. აღნიშული დასტურდება შსს-ს წერილით, და ნოტარიულად დამოწმებული მოწმეთა ჩვენებით და ასევე საცხოვრებელი ადგილის ამსახველი ფოტომასალით. ამასთან, **სპარტაკ მათიაშვილის** საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. მარიამ კვერნაძის თქმით, მთაწმინდის რაიონის გამგეობის შუამდგომლობების გათვალისწინებით, ქ. თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის IV ჩიხი, N3-ში მდებარე **74 კვ.მ** უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის ფორმით, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზების გზით საკუთრებაში გადაეცემა **მოქალაქე თენგიზ ლაცაბიძეს,** რომელიც დაახლოებით **30 წელია** ფლობს და სარგებლობს მითითებული უძრავი ქონებით. აღნიშნული დასტურდება შსს-ს წერილით, მეზობლების ნოტარიულად დამოწმებული ხელმოწერებითა და მთაწმინდა-სოლოლაკის საუბნო განყოფილების კორესპონდენციით. ამასთან, **თენგიზ ლაცაბიძის და მისი ოჯახის წევრების** საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე **რეგისტრირებული არ არის.**

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს **და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

21. **მარიამ კვერნაძემ** სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, „ქალაქ თბილისში, ,,ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მე-3 მასივში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.085) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 30 ნოემბრის N22.1819.1958 განკარგულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მე-3 მასივში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.085.01.527) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის განკარგულების პროექტი.**

მომხსენებლის განმარტებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 30 ნოემბრის N22.1819.1958 განკარგულებისა და საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N639 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისში, სამგორში რაიონში, მე-3 მასივში, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონება, **სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად** პრივატიზების გზით გადაეცათ შესაბამის მოქალაქეებს. მათ შორის, ნელი ბარაბაძეს და ზურაბ პატიაშვილს გადაეცათ იდენტური ქონებები, ს/კ: N01.19.20.020.085.507, **28.22 კვ.მ. ფართი.**

როგორც **მარიამ კვერნაძემ** აღნიშნა, წარმოდგენილი პროექტით ხდება ზემოაღნიშნული ხარვეზის გამოსწორება, ვინაიდან, მოქალაქე ნელი ბარაბაძის ფაქტობრივ მფლობელობაში არსებული ფართი წარმოადგენს N01.19.20.020.085.01.527 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ **37.09 კვ.მ.** ფართს.

მისივე თქმით, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ,** 2023 წლის 26 აპრილის განკარგულებით, **ნაწილობრივ ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 30 ნოემბრის განკარგულება,** <u>მოქალაქე ნელი ბარაბაძისათვის</u> უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემის ნაწილში. **ხოლო,** 2023 წლის 26 აპრილის **განაკრგულების მე-3 პუნქტად განისაზღვრა, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენა, მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, მე-3 მასივი, ს/კ: 01.19.20.020.085.01.527, პირდაპირი განკარგვის წესით პრივატიზების საკითხი, სიმბოლური ფასის - 1 (ერთი) ლარის სანაცვლოდ.**

დასასრულს, საკითხის წარმომდგენმა განმარტა, რომ პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას დედაქალაქის 2023 წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა განკარგულების პროექტის მიმართ გააჟღერა მთელი რიგი სამართლებრივი და ტექნიკური ხასიათის შენიშვნები.

საკითხის წარმომდგენმა გაიზიარა კომისიის თავმჯდომარის მიერ მითითებული შენიშვნები.

მოისმინეს:

22. მარიამ კვერნაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა დედაქალაქის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისში, შარდენის ქუჩაზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: N01.18.03.061.038) 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „Organica"-სთვის (ს/ნ: 400056461) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქალაქ თბილისში, შარდენის ქუჩაზე რეგისტრირებული 606 კვ.მ ფართობის მიწის ნაკვეთიდან **14 კვ. მ.** ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით **შპს „Organica"-სთვის** იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემას, **ღია კაფეს მოწყობის მიზნით,** შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ✓ იჯარის მოქმედების ვადა - **2023 წლის 9 აგვისტომდე;**
- ✓ საიჯარო ქირის წლიური საფასური - **4200 (ოთხი ათას ორასი) ლარი;**

მომხსენებელმა განმარტა, რომკომპანია იჯარის უფლებით ფლობს მომიჯნავე მიწის ნაკვეთს - **183.44 კვ. მ.** ფართობის უძრავ ქონებას.

დასასრულს, **მომხსებელმა** აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით, აღნიშნული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს **მიეცა დადებითი შეფასება.**

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური, განკარგულების პროექტის პირველი და მესამე პუნქტები გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

23. მარიამ კვერნაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა დედაქალაქის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N78-ის მიმდებარედ N01.14.10.001.088, N01.14.10.001.089 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის

ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ანტრე 2008“-ისთვის (ს/კ: 204549792) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N78-ის მიმდებარედ 2 კვ.მ მიწის ნაკვეთის და ქ. თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N78-ის მიმდებარედ 3 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით **შპს „ანტრე 2008“-ისთვის** იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემას, **ღია კაფეს მოწყობის მიზნით,** შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ✓ იჯარის მოქმედების ვადა - **2029 წლის 1 ოქტომბრამდე.**
- ✓ საიჯარო ქირის წლიური საფასური - **1 200 (ათას ორასი) ლარი;**

სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა განმარტა, რომ კომპანია იჯარის უფლებით ფლობს მომიჯნავე მიწის ნაკვეთს - **38 კვ.მ** ფართობის უძრავ ქონებას. მისივე თქმით, სააგენტოში წარდგენილია 38 კვ.მ უძრავი ქონების მესაკუთრეების ნოტარიული წესით დამოწმებული თანხომა, რომლითაც ისინი შპს „ანტრე 2008-ს“ აძლევენ თანხმობას მიწის ნაკვეთებზე განათავსოს საზაფხულო ღია კაფე, რეკლამა და მექანიკური მოხმარების საჩრდილობელი.

დასასრულს, **მომხსებელმა** აღნიშნა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური თანხმობას აცხადებს მიწის ნაკვეთის იჯარის უფლებით განკარგვის თაობაზე, საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული მოთხოვნების დაცვის გათვალისწინებით.

გადაწყვიტეს:

კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

24. მარიამ კვერნაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა დედაქალაქის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. N18-26-ის მიმდებარედ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: 01.10.15.010.045) 48 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჩეხური ლუდის სახლი 1“-ისთვის (ს/ნ: 405428194) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირი № 18-26-ის მიმდებარედ არსებული **4972 კვ. მ.** ფართობის მიწის ნაკვეთიდან **48 კვ. მ.** ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით **შპს „ჩეხური ლუდის სახლი 1-ისთვის“** იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემას, **ღია კაფეს მოწყობის მიზნით,** შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ✓ იჯარის მოქმედების ვადა - **2025 წლის 8 მარტამდე;**

- ✓ საიჯარო ქირის წლიური საფასური - **11520 (თერთმეტი ათას ხუთას ოცი) ლარი;**

მომხსენებელმა განმარტა, რომ კომპანია იჯარის უფლებით ფლობს მომიჯნავედ არსებულ უძრავ ქონებას.

დასასრულს, **მომხსებელმა** აღნიშნა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური თანხმობას აცხადებს მიწის ნაკვეთის იჯარის უფლებით განკარგვის თაობაზე, საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული მოთხოვნების დაცვის გათვალისწინებით.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანის თქმით, სასურველია, განკარგულების პროექტის სათაური, განკარგულების პროექტის პირველი და მესამე პუნქტები გამართულ იქნას ტექნიკური თვალსაზრისით და ჩამოყალიბდეს დასკვნის შესაბამისად.

გადაწყვიტეს:

კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

25. მარიამ კვერნაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა დედაქალაქის მერის მიერ წარმოდგენილი, "ქ. თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირი N34-ის მიმდებარედ 8 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.05.009.038) პირდაპირი განკარგვის წესით გიორგი ისაკაძისთვის (პ/ნ: 60003010441) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირი N34-ის მიმდებარედ **8 კვ.მ** მიწის ნაკვეთისპირდაპირი განკარგვის წესით **გიორგი ისაკაძისთვის** იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემას, **ღია კაფეს მოწყობის მიზნით,** შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ✓ იჯარის მოქმედების ვადა - **1 (ერთი) წელი;**
- ✓ საიჯარო ქირის წლიური საფასური - **1 920 (ათას ცხრაას ოცი) ლარი.**

მომხსენებელმა განმარტა, რომ კომპანია იჯარის უფლებით ფლობს მომიჯნავედ არსებულ უძრავ ქონებას.

დასასრულს, **მომხსებელმა** აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით, აღნიშნული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს **მიეცა დადებითი შეფასება.**

გადაწყვიტეს:

კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

26. მარიამ კვერნაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა დედაქალაქის მერის მიერ წარმოდგენილი, „ქ. თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა N19-ში არსებული 788 კვ. მ მიწის ნაკვეთიდან 9 კვ. მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.15.04.020.039) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კონუსი 08"-ისთვის (ს/ნ: 206330861) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა N19-ში არსებული 788 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან **9 კვ.მ მიწის ნაკვეთის** პირდაპირი განკარგვის წესით **შპს „კონუსი 08"-ისთვის** იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემას, **ღია კაფეს მოწყობის მიზნით,** შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- ✓ იჯარის მოქმედების ვადა - **5 (ხუთი) წელი;**
- ✓ საიჯარო ქირის წლიური საფასური - **2 700 (ორი ათას შვიდასი) ლარი.**

მომხსენებელმა განმარტა, რომ აღნიშნული კომპანიის საკუთრებაშია ქ. თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა 18 ანტონ ფურცელაძის ქუჩა N22-ში, 1 სართულზე არსებული **88.90 კვ.მ** არასაცხოვრებელი ფართი.

დასასრულს, **მომხსებელმა** აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს გადაწყვეტილებით, აღნიშნული მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს **მიეცა დადებითი შეფასება.**

გადაწყვიტეს:

კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

27. მარიამ კვერნაძემ სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა დედაქალაქის მერის მიერ წარმოდგენილი, „სს „თიბისი ბანკისთვის" (ს/კ: 204854595) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემისა და „სს „თიბისი ბანკისთვის" (ს/კ: 204854595) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2018 წლის 15 ოქტომბრის N№61.01182883 ბრძანებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის გადახდის ვადის დარღვევის შედეგად დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების

საკითხის შეთანხმების თაობაზე“ **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი.**

მომხსენებლის თქმით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ითვალისწინებს, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, **13 (ცამეტი) საკადასტრო ერთეულის** პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემას სს **„თიბისი ბანკი“-სათვის, ბანკომატებისა და ბანკის სერვის ცენტრის ფუნქციონირების მიზნით.**

- ✓ იჯარის მოქმედების ვადა - **2023 წლის 20 ივნისამდე;**
- ✓ საიჯარო ქირის წლიური საფასური - - **51 120 (ორმოცდათერთმეტი ათას ას ოცი) ლარი;**

მომხსებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი განკარგულების პროექტი ასევე ითვალისწინებს: „სს „თიბისი ბანკისთვის“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ სსიპ ქონების მართვის სააგენტოს 2018 წლის 15 ოქტომბრის №61.01182883 ბრძანებითა და მასზე თანდართული საიჯარო პირობებით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობით განპირობებული, კერძოდ, **სარგებლობის ქირის გადახდის ვადის დარღვევის შედეგად დაკისრებული პირგასამტეხლოს (ჯამში - 3535 ლარის ოდენობით) გადახდისაგან გათავისუფლების საკითხის საკრებულოსთან შეთანხმებას.**

საკითხის წარმომდგენმა განმარტა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

- ✓ ქალაქ თბილისის მუნიუციპალიტეტის **მომსახურე ბანკის შესარჩევ კონკურსში გამარჯვებულად გამოცხადდა სს „თიბისი ბანკი“.** პანდემიის პირობებში მოქმედი შეზღუდვებიდან გამომდინარე, აღნიშნულ ბანკსა და ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს შორის **2020 წლის 17 მარტს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი, და ქ. თბილისში, ჟ.შარტავას ქუჩა N7, 1 სართულზე არსებული 19.00 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი განთავსდა** ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო.

- ✓ სააგენტოში წარმოდგენილი იქნა სს „თიბისი ბანკის“ 2020 წლის 17 მარტის წერილი, სადაც ასევე განმარტებული იყო, რომ ბანკის სერვისცენტრმა 2020 წლის 16 მარტიდან შეწყვიტა ფუნქციონირება.

- ✓ ვინაიდან, მხარეებს შორის, მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, არ გაფორმებულა საიჯარო ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ შეთანხმება, შესაბამისად, მოიჯარეს ერიცხებოდა საიჯარო ქირის დავალიანება - 1188.90 ლარის ოდენობით (რომლის გადახდაც უზრუნველყო 2021 წლის 17 ნოემბერს), ასევე, მისი გადაუხდელობით დარიცხული პირგასამტეხლო ჯამში - 3535 ლარი.

- ✓ იმის გათვალისწინებით, რომ მოიჯარემ 2021 წლის 17 ნოემბერს უზრუნველყო გადაუხდელი საიჯარო ქირის გადახდა, სსიპ - ქონების მართვის სააგენტო

მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, არსებობს დარიცხული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისგან გათავისუფლების ფაქტობრივი საფუძვლები.

- ✓ გარდა ამისა მოიჯარემ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 6 თვის ვადაში უნდა გასწიოს 3535 (სამი ათას ხუთას ოცდათხუთმეტი) ლარის კაპიტალიზებადი ხარჯი შემდეგ უძრავ ქონებაზე: ჟ. შარტავას ქუჩა N7, შენობა-ნაგებობა N1, სართული სარემონტო სამუშაოების განხორციელების მიზნით.

აზრი გამოთქვეს:

ლევან ჟორჟოლიანმა განკარგულების პროექტის მიმართ გააჟღერა მთელი რიგი სამართლებრივი და ტექნიკური ხასიათის შენიშვნები, პროექტის სამართლებრივი საფუძვლების, სათაურის და პუნქტების, აგრეთვე, მთავრობის განკარგულების დანართად წარმოდგენილი საიჯარო პირობების მიმართ, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილი განკარგულების პროექტს და **მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით,** მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

28. ლევან ჟორჟოლიანმა სხდომაზე დამსწრე წევრებს წარუდგინა კომისიების პერსონალური შემადგენლობის ცვლილების საკითხი, რომლის მიხედვით, საკრებულოს გამოკლებული წევრის გიორგი ჩაკვეტაძის ადგილმონაცვლედ განისაზღვრა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საარჩევნო სუბიექტის „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ პარტიული სიით საკრებულოს წევრობის კანდიდატი **არჩილ გორდულაძე.**

ამასთან, კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცის **„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“** მ/წლის 17 მაისის სხდომაზე ფრაქციის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი:

1) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარედ **გურამ ოქროპირიძის კანდიდატურას;**

2) გურამ ოქროპირიძის მიერ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დატოვებასა და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიაში გაწევრიანებას;

3) არჩილ გორდულაძის ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის და ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიებში გაწევრიანებას.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიამ მიიჩნია, რომ დაცულია ფრაქციის მიერ კომისიებში წევრის წარდგენის წესი და წარმოდგენილი ცვლილება შეესაბამება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ დამტკიცებულ კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს.

შესაბამისად, კომისია დანართის სახით წარადგენს, ზემოაღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიათა პერსონალურ შემადგენლობას, რომელიც ცნობის სახით უნდა მიიღოს ამავე საკრებულოს ბიურომ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე **ლევან ჟორჟოლიანი**

სხდომის მდივანი **ნინო ჯალაღანია**